# პრაქტიკაში ქალ მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების თავისებურებები, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი – არასაპატიმრო სასჯელით შეცვლისას

**ნათია ბუბუტეიშვილი**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

ელ.ფოსტა: Natia.Bubuteishvili144@law.tsu.edu.ge

## აბსტრაქტი

სტატიაში მსჯელობა იქნება ქალ მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხებზე, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით – არასაპატიმრო სასჯელით შეცვლის მექანიზმზე და მათ შესაბამისობაზე საერთაშორისო კონვენციებთან. პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტი სხვა ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტებთან ერთად ერთგვარი შანსია მსჯავრდებულისათვის, რათა მან თავისი ქცევით დაამტკიცოს, რომ ის მზად არის გათავისუფლებისათვის. დაწესებულებაში სარეაბილიტაციო, კულტურული აქტივობების დაგეგმვა, პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტის არსებობა, მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდგომ მის რესოციალიზაციაზე ზრუნვა სხვადასხვა სახის რესურსებთან არის დაკავშირებული.

საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების განმახორციელებელი ორგანო არის დამოუკიდებელი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო (შემდგომში-ადგილობრივი საბჭო), რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გარკვეულწილად ითავსებს სასამართლო ხელისუფლების ფუნქციასაც. თუმცა ადგილობრივი საბჭო არ არის ერთადერთი ორგანო, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე იღებს გადაწყვეტილებას.

სტატიაში ნამსჯელია პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს უფლებამოსილებაზე, საბჭოს წევრების შესაბამის სამართლებრივ გარანტიებზე, ასევე შესწავლილი იქნება საქართველოში პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების საკანონმდებლო საფუძვლები. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებული იქნება, თუ რამდენად ხდება პრაქტიკაში ქალ მსჯავრდებულთა თავისებურებების გათვალისწინება ადგილობრივი საბჭოს მიერ. ასევე საყურადღებოა სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენება ქალ მსჯავრდებულებთან მიმართებაში, როდესაც მოხდება პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს მიერ საპატიმრო სასჯელის შეცვლა შინაპატიმრობით – ანუ არასაპატიმრო სასჯელით.

განხილული იქნება ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად გამოვლენილი რიგი ხარვეზები და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზები.

**საკვანძო სიტყვები:** შინაპატიმრობა, რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია

# Features of Release on Parole for Female Convicts in Practice, Including a Lighter Sentence of Imprisonment – While Changing a Non-custodial Sentence

**Natia Bubuteishvili**

*PhD student at Faculty of Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

E-mail: Natia.Bubuteishvili144@law.tsu.edu.ge

ABSTRACT

This article discusses the features of parole for female convicts, including the mechanism of commutation of lighter sentences – non-custodial sentences and their compliance with international conventions. The institution of release on parole, together with other institutions of conditional release, is a kind of second chance for the convict to prove through actions that he/she is ready for release. Planning rehabilitation and cultural activities in the prison, the existence of the institution of parole, taking care of convicts' re-socialization after the release are associated with quite large mental and financial resources. The main concern of any country is the person and his rights.

In Georgia, the conditional release authority is an independent, local council of the Special Penitentiary Service (hereinafter referred to as the local council), which, to some extent, also includes the function of the judiciary within its powers. The article will discuss the powers of the local parole council, the relevant legal guarantees for council members, as well as the legal basis for parole in Georgia.

Particular attention will be paid to the extent to which different features of female convicts are taken into consideration by the local council in practice. Also, noteworthy is the use of house arrest as a punishment for women offenders when the parole council changes the prison sentence to house arrest or non-custodial sentence.

The article will also discuss the issues identified as a result of the analysis of the decisions made by the local council and possible ways to solve the problems in practice.

**KEYWORDS:** House arrest, Resocialization, Rehabilitation

## შესავალი

საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდეგ რადიკალური რეფორმები გატარდა. საქართველოს სისხლის სამართლის ლიბერალური მოდელი შეცვალა "ნულოვანი ტოლერანტობის" პოლიტიკამ. დამნაშავეობასთან ბრძოლის სტრატეგიის დამტკიცებიდან სამი წლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა მისი გადახედვისა და ცვლილების საკითხი, ვინაიდან "ნულოვანი ტოლერანტობის" პოლიტიკამ მკაცრი კრიტიკა გამოიწვია.

დღის წესრიგში დადგა სისხლის სამართლის რეფორმის ახალი სტრატეგის განსაზღვრა, რომელმაც აქცენტი სისხლის სამართლის ლიბერალიზაციაზე გაამახვილა და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მსჯავრდებულის ვადამდე გათავისუფლების, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი-არასაპატიმრო სასჯელით შეცვლის საკითხს.

ნაშრომში განხილული იქნება პირობით ვადამდე გათავისუფლება, რომელიც სამართლიანობის პრინციპის რეალიზაციის საშუალებას წარმოადგენს, თუ გათავისუფლება ხდება შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე და სამართლიანობას არ გავაიგივებთ შურისძიებასთან, რაც გამორიცხავს ვადაზე ადრე გათავისუფლებას.

ასევე, საუბარი იქნება ქალ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოს უფლებამოსილებაზე, განსაკუთრებით საინტერესოა პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტის ქალ მსჯავრდებულებთან მიმართებაში გაანალიზება. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს N320 ბრძანება ადგენს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობასა და ტერიტორიულ განსჯადობას. აღნიშნული ბრძანება განაცალკევებს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე განმხილველ საბჭოებს და ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველ ადგილობრივ საბჭოებს.[1] განიხილება ქალ მსჯავრდებულთა მიმართებაში საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანლიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები, ამასთანავე, წარმოდგენილი იქნება მათი აღმოფხვრის შესაძლო გზები.

## პრაქტიკაში ქალ მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების თავისებურებები, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი – არასაპატიმრო სასჯელით შეცვლისას

სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების სახეების არსებობა დანაშაულის ჩამდენი პირებისათვის სახელმწიფოს მხრიდან ჰუმანიზმის გამოვლენის მაგალითია. მსჯავრდებულთათვის, რომელთა მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, სასჯელისაგან გათავისუფლების ცალკეული სახეების არსებობა არის ერთგვარი შანსი თავისუფლების მოპოვებისა და სოციუმში დაბრუნებისა, ხოლო, მეორე მხრივ, ეს პენიტენციური დაწესებულებების განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა[2].

1 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4837225?publication=0> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

2 არსოშვილი, გ. მიქანაძე, გ. და შალიკაშვილი, მ., 2015. „პრობაციის სამართალი" . თბილისი: გვ. 191.

1847 წელს ფრანგმა ა. ბონევილ დე მარსანჟიმ შექმნა ადრე უცნობი სამართლებრივი მოდელი – პირობით ვადამდე გათავისუფლება, რომელიც გულისხმობდა მსჯავრდებულის გათავისუფლებას სასჯელის გარკვეული პერიოდის მოხდის შემდგომ, მომავალში დამაკმაყოფილებელი ქცევის პირობით. აღნიშნული დეფინიცია მცირეოდენი ცვლილებებით თითქმის ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაშია. ამ ინსტიტუტს შემდეგი უპირატესობები გააჩნია: მსჯავრდებულის ინტერესებშია სასჯელის მოხდის პერიოდში კარგი ქცევა, რაც ვრცელდება პირობით გათავისუფლების პერიოდზეც. აღნიშნული მოიცავს დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში დახმარებას და ზედამხედველობას. ამგვარი პირობით გათავისუფლება განსხვავდება ავტომატური გათავისუფლებისაგან, რომელიც მოსდევს სასჯელის მოხდას და მიმართულია მსჯავრდებულთა რიცხვის შემცირებისაკენ[3].

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის პირობით ვადამდე გათავისუფლების რეკომენდაციის პრეამბულის მიხედვით: „პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზანს წარმოადგენს მსჯავრდებულის დახმარება, რათა მან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გატარებული დროის გასვლის შემდეგ შეძლოს საზოგადოებაში ინტეგრაცია, შესაბამისად, ხელი უნდა შეუწყოს მიზნის მიღწევას და წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში“[4].

ევროპის საბჭო პრიორიტეტულ მიმართულებად აცხადებს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების განტვირთვას, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობას და აქცენტს აკეთებს წევრ სახელმწიფოებში ეფექტიანი პირობით ვადამდე განთავისუფლების სისტემის ფუნქციონირებაზე. ამ კუთხით აღსანიშნავია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)22 რეკომენდაცია. ამ რეკომენდაციით აღიარებული პირობით ვადამდე განთავისუფლების ორი ძირითადი სახე არსებობს: დისკრეციული და სავალდებულო (ავტომატური) განთავისუფლების სისტემა. დისკრეციული განთავისუფლების სისტემა ნიშნავს პირობით ვადამდე განთავისუფლების მოპოვებისთვის მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადის განსაზღვრას კანონით,[5] რომელშიც გაწერილია მინიმალური ვადები, რომლის გასვლის შემდეგ მსჯავრდებულს უფლება აქვს მიმართოს შესაბამის ორგანოს დარჩენილი საპატიმრო სასჯელის ვადამდე მოხსნის თხოვნით.[6] რეკომენდაცია ასევე ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში განსაზღვროს მსჯავრდებულის საქმის ხელმეორედ განხილვის თარიღი. დანაშაულის კატეგორიის მიხედვით ვადები განსხვავებულია. ინდივიდუალურ შეფასებაზე დამყარებული ეს სისტემა შემდეგ ქვეყნებშია: ავსტრია, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუსეთი, სლოვენია, ესპანეთი და ჩეხეთი,[7] მათ შორის საქართველოშიც.

ინგლისმა, უელსმა, ფინეთმა, საბერძნეთმა, შვედეთმა და თურქეთმა პირობით ვადამდე განთავისუფლების სავალდებულო

3 პრადელი, ჟ., 1999. შედარებითი სისხლის სამართალი. თბილისი: გვ. 467.
4 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, პრეამბულა.
5 იქვე. მე-16 პუნქტი.
6 მუხლი 42, „პატიმრობის კოდექსი“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].
7 Padfield, N., Van Zyl Smit, D. and. Dunkel, F., 2010. Release from Prison, European Policy and Practice. USA, Willan Publishing, 420.

ფორმა დანერგეს პრაქტიკაში,[8] სავალდებულო გათავისუფლების სისტემის შემთხვევაში პიროვნება ავტომატურად თავისუფლდება სასჯელის მოხდისგან. გამომდინარე იქედან, რომ ეს სისტემა არ გულისხმობს საქმის განხილვასა და რისკფაქტორების შეფასებას, მიმაჩნია, რომ საფრთხე მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენისა დიდია. რეკომენდაცია სავალდებულო ხასიათის არ არის და ის წევრ ქვეყნებს ანიჭებს უფლებას, თავიანთი კანონმდებლობით დაარეგულირონ ის კონკრეტული საკითხები[9].

საერთაშორისო სტანდარტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალი დამნაშავეების საკითხს და მათ მიმართ არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების მნიშვნელობასა და პრინციპებს. ბანგკოკის წესების თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ საპატიმრო ალტერნატივების გენდერულად სპეფიციკური საშუალებები ქალი დამნაშავის ვიქტიმიზაციის ისტორიისა და მათ მზრუნველობის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.[10] ასევე, ქალი დამნაშავეების მიმართ არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენებისას, ძირითადად, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:[11] ქალი დამნაშავეები არ უნდა განცალკევდნენ ოჯახებისა და საზოგადოებისგან, მათი ისტორიისა და ოჯახური კავშირების წინასწარი შესწავლის გარეშე;[12] შესაბამისი რესურსის გამოყენებით უნდა შეიქმნას შესაფერისი ალტერნატივები ქალი დამნაშავეებისთვის, რათა მოხდეს არასაპატიმრო ღონისძიებების იმ ღონისძიებებთან კომბინირება, რომლებიც მიმართულია იმ ზოგადი პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც უბიძგებს ქალებს, კავშირი იქონიონ სისხლის სამართლის სისტემასთან;[13] შესაბამისი ალტერნატივები შესაძლოა მოიცავდეს თერაპიულ კურსებს და საკონსულტაციო მომსახურებას ოჯახური ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის, შესაბამის მკურნალობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამებს დასაქმების პერსპექტივის გასაუმჯობესებლად;[14] დანაშაულის პრევენციის მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს გენდერულად მგძნობიარე, განცდილი ტრავმის შესაბამისი და მხოლოდ ქალებისათვის განკუთვნილი ნარკოტიკებზე დამოკიდებულების სამკურნალო პროგრამები. აგრეთვე, განრიდებისა და სასჯელის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენება; ორსული ქალებისთვის და ქალებისთვის, რომლებსაც ჰყავთ მათზე დამოკიდებული ბავშვები, უპირატესობა უნდა მიენიჭოს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას.[15]

საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის წესსა და პირობებს განსაზღვრავს რამდენიმე საკანონმდებლო აქტი: სა-

8 იქვე. გვ. 420.

9 მე-16 პუნქტი, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)22 პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ.

10 წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, 2010/16. ბანკოკის წესები, წესი 58. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.idsdge.files.wordpress.com/2017/06/e18391e18390e1839ce18392e18399e1839de18399e18398e183a1-e183ace18394e183a1e18394e18391e18398.pdf> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

11 იქვე. წესი 58, 60, 62, 64.

12 იქვე. 57.

13 იქვე. წესი 58, 60, 62, 64.

14 იქვე.

15 იქვე.

ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი[16], პატიმრობის კოდექსი[17] და იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს N320 ბრძანება – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ".[18] ამ აქტებით განსაზღვრულია, თუ როდის და ვის ეხება პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესაძლებლობა. ასევე გაწერილია ადგილობრივი საბჭოების ფუნქციები, მათი შემადგენლობისა და მუშაობის, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესები.[19]

2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა ახალი პატიმრობის კოდექსი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში მოქმედი ეს სისტემა და შეიქმნა ადგილობრივი საბჭოები, რომელთაც მსჯავრდებულთა საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება დაევალათ.

ჩვენ კანონმდებლობაში არსებული პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა ავტომატური არ არის. ჩვენი კანონმდებლობა ერთმანეთს უხამებს ავტომატიზმსა და დისკრეციულ პირობითობას.[20] მსჯავრდებულს შეუძლია ისარგებლოს პირობით ვადამდე გათავისუფლებით, მაგრამ კანონმდებლობა გათავისუფლების დროსა და საკითხის გადაწყვეტას აკისრებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოებს, რომლებიც ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იხილავენ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხებს.

პრაქტიკაში საკითხის გაანალიზება, დაადგა თუ არა მსჯავრდებული გამოსწორების გზას, ხდება სარეჟიმო მოთხოვნების, იგივე სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნების შესრულების, მსჯავრდებულის ქცევის, მისი სამომავლო საქმიანობისადმი, ახლობლებისადმი, გარე სამყაროსადმი დამოკიდებულების საკითხის გარკვევით.

პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის წინაპირობაა ის გარემობა, რომ მსჯავრდებულს მოხდილი ჰქონდეს კანონით გათვალისწინებული საშეღავათო ვადა, რომელიც დამოკიდებულია დანაშაულის კატეგორიაზე, მსჯავრდებულის ასაკსა და იმ გარემოებაზე, ხომ არ არის ჩადენილი პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მითითებული ჩანაწერი ეხება „სპეციალურ კატეგორიებთან" მიმართებით არსებულ პირთა

16 მუხლები 72, 73, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=230> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

17 მუხლი 40-43., „პატიმრობის კოდექსი"., 2010. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

18 საქართველოს იუსტიციის მინისტრის №320 ბრძანება. 2018. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4837225?publication=0> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

19 პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში, 2019. თბილისი. გვ. 8. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

20 ნაჭყებია, გ., „რედ.", 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: გვ. 412.

წრესაც, ესენი არიან: არასრულწლოვანი მსჯავრდებულები, ქალი მსჯავრდებულები და ა.შ. ე.ი. პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება წარმოადგენს ყოველი თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებას, რომლის არსებობის გარეშე ფაქტიურად შეუძლებელია პატიმართა რესოციალიზაციაზე საუბარი.[21]

საქართველოში დღეის მდგომარეობით, ფუნქციონირებს ექვსი ადგილობრივი საბჭო. აქედან ერთი საბჭო განიხილავს არასრულწლოვანთა საქმეებს, ერთი – ქალ მსჯავრდებულთა საქმეებს, ხოლო დანარჩენი ოთხი – მამაკაც მსჯავრდებულთა საქმეებს, რომლებიც დაყოფილია ტერიტორიული პრინციპით და საბოლოოდ, შექმნილია: სამი აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო და ერთი დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო[22][23]. თითოეული საბჭო შედგება 5 წევრისგან და ფუნქციონირებს 1 წლის ვადით[24]. საბჭო განიხილავს ორ საკითხს[25]: 1. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებას და; 2. მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლას.

კანონმდებლობით ასევე გაწერილია, რომ მსჯავრდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლოს გზით, რაც მისასალმებელია, რადგან ეს უკანასკნელი მოქალაქის კონსტიტუციით იმპერატიულად განსაზღვრული უფლებაა.[26]

პერიოდი, როდესაც ახალი განაცხადი არ შეიძლება იყოს წარდგენილი, განსაზღვრულია ევროპის ყველა ქვეყანაში, გამონაკლისს წარმოადგენს შვედეთი. ამგვარი პერიოდის მაქსიმუმია ერთი წელი, რაც დადგენილია: ბელგიაში, პორტუგალიაში, რუმინეთში, შოტლანდიაში, სლოვაკეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში, მაშინ როდესაც ევროპის უმრავლეს ქვეყანაში ეს პერიოდი, როგორც წესი, ერთი, ორი, სამი ან ექვსი თვეა[27]. საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის ხელახალი განხილვა შესაძლებელია ყოველ ექვს თვეში ერთხელ.[28]საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ადმინისტრაციული წესით, სასამართლოში.[29]

სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა სასამართლოს შეუძლია მაშინ, როდესაც ის მიიჩნევს, რომ საბჭოს

21 არსოშვილი, გ., მიქანაძე, გ. და შალიკაშვილი, მ., 2015. „პრობაციის სამართალი." თბილისი: გვ. 190.

22 მუხლი 3, იუსტიციის მინისტრის N320 ბრძანება, 07/08/2018.

23 პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში. 2019. თბილისი: გვ. 8. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

24 იქვე. მუხლი 4.

25 იქვე. მუხლი 6.1.

26 მუხლი 23. იუსტიციის მინისტრის N320 ბრძანება, 2018. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

27 Padfield, N., Van Zyl Smit, D. and. Dunkel, F, 2010. Release from Prison, European Policy and Practice, USA, Willan Publishing. გვ. 426-427.

28 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება #138.

29 იქვე. მუხლი 23.

გადაწყვეტილება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია დაავალოს ადგილობრივ საბჭოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი.[30] იმ შემთხვევაში კი, თუ სასამართლო თვლის, რომ გამოკვლეულია ყველა გარემოება, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება არ გამომდინარეობს გარემოებათა ანალიზიდან და არ არის ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, რაც იწვევს საბჭოს მხრიდან მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების დარღვევას, იგი ბათილად ცნობს საბჭოს გადაწყვეტილებას და პირდაპირ ავალდებულებს საბჭოს, მიიღოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება[31].

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლედ უნდა დასახელდეს სასამართლოსთვის გაზრდილი უფლებამოსილება ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის პროცესში, თუ სასამართლოს მხოლოდ საბჭოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საკითხის განსახილველად უკან დაბრუნების უფლებამოსილება ჰქონდა, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, დღეისთვის სასამართლო მათ შორის უფლებამოსილია, ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება და პირდაპირ დაავალოს საბჭოს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა.[32]

მიუხედავად ხაზგასმული ცვლილებებისა, რომელიც ძირითადად დადებით ხასიათს ატარებს, სამწუხაროდ, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების წინაშე, კერძოდ: საბჭოს გადაწყვეტილებათა დასაბუთების პრობლემა, არათანმიმდევრული პრაქტიკა, რიგ შემთხვევებში მსჯავრდებულთა საქმების ზედაპირული თუ არასრულყოფილი შესწავლის პროცესი, სასამართლოში ბაჟის გადაუხდელობის გამო საჩივრების დახარვეზების ხშირი შემთხვევები და სხვა.[33]

საინტერესოა, პრაქტიკული თვალსაზრისით, ადგილობრივი საბჭოების მიერ გადაწყვეტილებების ანალიზი. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია საბჭოს მიერ გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებული შემთხვევა. გადაწყვეტილების დასაბუთებულობა გულისხმობს დასაბუ-

30 მუხლი 324, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი]ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=82> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

31 პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში. 2019. თბილისი: გვ. 10-12. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

32 მუხლი 2711, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. 1999. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=82> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

33 პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში. 2019. თბილისი: გვ. 10-12. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

თების საჭიროებას ორივე შემთხვევაში – დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას. სწორედ, გადაწყვეტილების დასაბუთებამ უნდა გამორიცხოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არაერთგვაროვანი ან/და მიკერძოებული მიდგომის ეჭვი.

საუბარია შემთხვევაზე, როდესაც მსჯავრდებულის მიერ, რომელსაც უარი ეთქვა საბჭოს მიერ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლაზე, შეტანილ იქნა სარჩელი სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით – საქმე N3/7295-19 – დაევალა მოპასუხე მხარეს-საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების-სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველ ადგილობრივ საბჭოს, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური აქტი ქ.ს.-ს მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე.[34]

ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ შესაგებელს.

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები: ქ.ს.-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 02 აგვისტოს განაჩენით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღვეთა 6 წლის ვადით. მსჯავრდებულ ქ.ს.-ს განესაზღვრა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსება. N5 პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებულ იქნა 02.08.2016 წელს. სასჯელის დასასრული 02.08.2022 წელი.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს: N5 პენიტენციურ დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 2 აგვისტოს დახასიათება; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების-სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს 2019 წლის 06 სექტემბრის N05/19/შ/პ-005 გადაწყვეტილება;

პატიმრობის კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, პატიმრობისა და თავისუფლების აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზანია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია[35]. ამასთან, საქართველოში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ხორციელდება კანონიერების, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით[36]. ხსენებული კოდექსის 43-ე მუხლში რეგლამენტირებულია სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის წესი. რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს, მის დამცველს, კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით წარუდგინოს საბჭოს მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია და შესაბამისი შუამდგომლობა[37]. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საბჭოს განხილ-

34 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/7295-19).

35 მუხლი 1, „პატიმრობის კოდექსი“. 2010. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

36 იქვე. მუხლი 1.

37 იქვე. მუხლი 43.

ვა ტარდება ზეპირი ან ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო მინისტრის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების შესახებ.

პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, შესაბამისი შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე, ხოლო მე-8 ნაწილის შესაბამისად, თუ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, იმავე საკითხზე ხელახალი განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა არ აღემატება 6 თვეს ან თუ არსებობს რაიმე განსაკუთრებული გარემოება.[38]

იუსტიციის მინისტრის N320 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მიხედვით ადგილობრივი საბჭო წარმოადგენს მუდმივ მოქმედ ორგანოს, რომელიც იხილავს პატიმრობის კოდექსის მე-4, 42-ე და 43-ე მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებს.[39] საბჭო უფლებამოსილია განიხილოს მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი, გარდა საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულისა და იმ მსჯავრდებულისა, რომელსაც სასჯელის სახედ შეფარდებული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა.[40]

საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე ზეპირი მოსმენით, ან ზეპირი მოსმენის გარეშე. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო ასევე დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშე არსებითად იხილავს წარმოებაში მიღებულ შუამდგომლობებს. ზეპირი მოსმენის გარეშე სხდომაზე საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობაზე უარის თქმის ან საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების შესახებ, ან მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ. საბჭო ზეპირი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ. საბჭო მხოლოდ ზეპირი მოსმენით იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით-საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით – შეცვლის თაობაზე.[41]

განსახილველ შემთხვევაში ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველმა საბჭომ მოცემულ ეტაპზე არ დააკმაყოფილა საბჭოში შესული შუამდგომლობა მსჯავრდებულ ქ.ს. მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე. გადაწყვეტილების მიღებისას საბჭომ იხელმძღვანელა იუსტიციის მინისტრის N320 ბრძანებით: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე

38 იქვე. მუხლი 43.
39 მუხლი 1, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, 2018. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0> [წვდომის თარიღი: 20 ოქტომბერი 2020].
40 იქვე. მუხლი 6.
41 იქვე. მუხლი 7.

განთავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-13 მუხლით დადგენილი კრიტერიუმებით:[42]

**ა) დანაშაულის ხასიათი** – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებასა და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ასევე ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში;[43]

აღნიშნულ საქმეში საბჭომ ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ხასიათზე, აღნიშნა, რომ ჩადენილია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. კერძოდ, თაღლითობა დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სახეზეა არაერთი ეპიზოდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის შესახებ საკითხის განხილვისას განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა იქონია ჩადენილი დანაშაულის ხასიათმა, რა გარემოებასა და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული. საბჭომ მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანმხლებ ნეგატიურ მოსაზრებებს ვერ გააბათილებს და ვერ გადაწონის სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმები.[44] ამასთან მიმართებაში სასამართლომ ჩათვალა, რომ თავად ამ კრიტერიუმის შეფასებისას დადებით კონტექსტშია შესაფასებელი თუნდაც ის ფაქტიც, რომ დანაშაული არ არის ჩადენილი პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში, რაც თავისთავად ამცირებს დანაშაულის ჩადენის განმეორების რისკს.[45]

**ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში** – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიება იქნა გამოყენებული, აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული;[46]

მოცემულ შემთხვევაში ქ.ს. სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი არ ყოფილა. იცავს დაწესებულების დებულებას, დღის განრიგს და სამართლებრივ რეჟიმს, ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოვალეობებს. ასევე კარგი ურთიერთობა აქვს სხვა მსჯავრდებულებთან და თავაზიანია თანამშრომლებთან მიმართებაში. არ არის კონფლიქტური და აგრესიული.

**გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ნასამართლობა** – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონია ადგილი. ასევე, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისათვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი მსჯავრდებული;[47] ამ შემთხვევაში მსჯავრდებული ნასამართლობის არ მქონეა.

42 მუხლი 13. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, 2018. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0> [წვდომის თარიღი: 20 ოქტომბერი 2020].

43 იქვე.

44 სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს 2019 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილება (N05/19/შ/პ-005).

45 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/7295-19).

46 მუხლი 13, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, 2018. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

47 იქვე.

**დ) ოჯახური პირობები** – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;[48] მსჯავრდებულს ჰყავს ორი მცირეწლოვანი (11 და 9 წლის) შვილი.

აქვე განმარტების სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუცია[49] სახელმწიფოს ავალდებულებს ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური თვალსაზრისით და დედათა და ბავშვთა უფლებები დაიცვას კანონით.

გარდა ამისა, ბავშვის უფლებათა კონვენციის პრეამბულაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების ზრდისა და კეთიდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებლად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაეწიოს თანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებანი. ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.[50]

ამავე კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული.[51]

ამავე კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.[52] ...ამასთანავე, მე-8 მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მათ შორის, მოქალაქეობა, სახელი და ოჯახური ურთიერთობა, როგორც გათვალისწინებულია კანონით, ამასთან არ დაუშვან კანონსაწინააღმდეგო ჩარევა. გარდა ამისა, კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

წარმოდგენილ შემთხვევაში ქ.ს.-ს დაკავების შემდეგ შვილები ყოფილ მეუღლესთან ცხოვრობდნენ, თუმცა, როგორც მსჯავრდებულის მამა განმარტავს, ბავშვი იყო მამის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. რის გამოც ბაბუამ სამართალდამცავ ორგანოს და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა. მამის მიმართ გამოწერილია შემაკავებელი ორდერი. უმცროსი შვილი კვლავ მამასთან რჩება. წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებს ბავშვების საუკეთესო ინტერესზე, დაუბრუნდნენ დედის მზრუნველობას.

48 იქვე.
49 საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].
50 მუხლი 2, კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1989. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=026> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].
51 იქვე. მუხლი 2.
52 იქვე. მუხლი 8.

**ე) მსჯავრდებულის პიროვნება** – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან; ინფორმაცია სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.[53]

განსახილველ შემთხვევაში მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში ჩართული იყო ფსიქო-სოციალურ აქტივობებში: გავლილი აქვს: „მეწარმეობა", „მეხილეობა", „სტილისტის შემსწავლელი კურსი", „კოსმეტოლოგია", „სამკერვალო ნაწარმი", ინგლისური, „ძალადობის მსხვერპლი ქალების სარეაბილიტაციო პროგრამა", ასევე სატრენინგო მოდულები: "ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები: და სხვ. მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებული იყო სამკერვალოსა და ყვავილების სათბურში. სარგებლობდა ბიბლიოთეკით, ესწრებოდა რელიგიურ და კულტურულ ღონისძიებებს. 2017 წლის 16 მაისს მსჯავრდებულს მიეცა დაწესებულების დროებით დატოვების უფლება, გაყვანილ იქნა შ. რუსთაველის სახელმწიფო დრამატულ თეატრში და დაესწრო მსჯავრდებულების მიერ გამართულ სპექტაკლს.

ფსიქოლოგთან ინტერვიურების პროცესში რისკ-ფაქტორები: ემოციური აგრესიისა და ანტისოციალური ქცევის ტენდენცია არ ვლინდება. მოწესრიგებულია, კომუნიკაბელურია, კოგნიტური და სოციალური უნარები განვითარებული აქვს. აქტიურია, მოტივირებულია, მიზანდასახულია, კეთილგანწყობილია, შრომისმოყვარეა. ბენეფიციარი საუბრობს, რომ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მასში გადაფასდა ღირებულებათა სისტემა. აქვს უმაღლესი განათლება, პროფესია, სამუშაო გამოცდილება. ჰქონდა მიკრობიზნესი, სურვილი აქვს განაგრძოს ეს საქმიანობა: ფიქრობს, დაკავდეს მეცხოველეობით, სოფლის მეურნეობით, მებაღეობით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველის ნაწილის „ლ" ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის: უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ხოლო მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა.[54]

53 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

54 მუხლი 1, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=36> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. რაც აუცილებლად გულისხმობს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების სავალდებულობას, ვინაიდან მხოლოდ აღნიშნულით არის შესაძლებელი, გაირკვეს, მიღებულ იქნა თუ არა უშეცდომო გადაწყვეტილება.[55]

ამასთანავე, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამოსობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით. გარდა ამისა, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.[56]

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი არ შეიცავს საკმარის მოტივაციას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის მიზეზთან დაკავშირებით. საკითხის განხილვისას საბჭომ ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ხასიათზე. აქედან გამომდინარე საკითხის განხილვისას დანაშაულის ხასიათმა უარყოფითი გავლენა მოახდინა გადაწყვეტილებაზე.

სასამართლო განმარტავს, რომ საკითხის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო სრულფასოვნად გამოეყენებინა მინიჭებული უფლებამოსილება და გამოცემული აქტის დასაბუთებაში მიეთითებინა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის უარყოფითად გადაწყვეტისათვის.[57]

დანაშაულის ხასიათთან მიმართებაში სასამართლო მიუთითებს, რომ საბჭოს მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა. ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია[58]. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში ხასიათდება დადებითად, იცავს დაწესებულების დებულებას, რეჟიმს, დღის განრიგს, ასრულებს ადმინისტრაციის კანონიერ მოთხოვნებს, დანაშაულის შეფასებისას ადეკვატურია, არ არის კონფლიქტური და აგრესიული, გეგმავს განთავისუფლების შემდეგ მუშაობის გაგრძელებას, დანაშაულს განიცდის და ინანიებს[59]. ყოველივე ზემოთქმულის

55 პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში, 2019. თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

56 იქვე.

57 პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში, 2019. თბილისი: [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

58 მუხლი 39, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=230> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

59 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება, (საქმე N3/7295-19).

გათვალისწინებით, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე, სასამართლოს მოსაზრებით გამოცემულია პატიმრობის კოდექსის სახელმძღვანელო პრინციპის-რესოციალიზაციის ხელშეწყობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ბალანსის უგულებელყოფით, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს.[60] ამასთან, უგულებელყოფილია ბავშვების საუკეთესო ინტერესებიც. ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. ამასთანავე მინისტრის N320 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი სწორედ ამ კუთხით ადგენს განსაკუთრებულ რეგულაციას ქალი მსჯავრდებულის საქმეების განხილვისას, კერძოდ – განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებს, მათი არასრულწლოვანი შვილების საუკეთესო ინტერესებს და სხვ.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მეორე, 27-ე[1] მუხლებით, 22-ე, 23-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და გადაწყვიტა: 1. დაკმაყოფილდეს ქ.ს. სარჩელი; 2. ბათილად იქნეს ცნობილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს 2019 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება; 3. დაევალოს ადგილობრივ საბჭოს კანონით დადგენილი წესის დაცვით გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი ქ.ს.-ს მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე; დაეკისროს საბჭოს სარჩელზე გადახდილის სახელმწიფო ბაჟის – 100 (ასი) ლარის მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურება.[61]

მოგვიანებით, 2020 წლის 7 თებერვალს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების-სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველმა ადგილობრივმა საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა შემოსული შუამდგომლობა მსჯავრდებულ ქ.ს.-ს მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე. საბჭომ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება, დაკმაყოფილდეს შემოსული შუამდგომლობა მსჯავრდებულ ქ.ს.-ს მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე. მსჯავრდებულ ქ.ს.-ს თავისუფლების აღკვეთა შეეცვალოს შინაპატიმრობით ორი წლით, ხუთი თვითა და ოცდაექვსი დღით. შინაპატიმრობის ვადის ათვლა დაიწყება N5 პენიტენციური დაწესებულების დატოვების დღიდან.[62]

60 პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში. 2019. თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].

61 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/7295-19).

62 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების-სპეციალური სპენიტენციური სამსახურის ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება, 7/02/2020.

## დასკვნა

ადგილობრივი საბჭოების მიერ შესწავლილი გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად გამოვლენილ ხარვეზთაგან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის პრობლემას, რაც ბუნდოვანს ხდის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ისეთ გადაწყვეტილებებს, სადაც მსჯავრდებულის პიროვნება დადებითად ხასიათდება და იკვეთება სხვა არაერთი დადებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორები. ასეთ შემთხვევებში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის მოტივირება მხოლოდ დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათზე მითითებით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ადგილობრივი საბჭო არ ამოწმებს და ყურადღებას არ აქცევს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესსა და შედეგებს, რაც მისი პირდაპირი ვალდებულებაა. მიუხედავად საბჭოს ვალდებულებისა, იმსჯელოს და მხედველობაში მიიღოს ხუთი კრიტერიუმი, გადამწონი ყველაზე ხშირად მხოლოდ ერთი კრიტერიუმია – დანაშაულის ხასიათი, თუ საბჭო თვლის, რომ მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილი ქცევა არ არის საკმარისი მისი რესოციალიზაციისათვის, მაშინ მან უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილებაში, რატომ არ არის საკმარისი პირის მიერ უკვე მოხდილი სასჯელის ოდენობა, რატომ არ არის პირი ჯერ კიდევ რესოციალიზებული, მიუხედავად მისი გამოვლენილი პოზიტიური ქცევებისა. მსგავსი გადაწყვეტილებები ტოვებს პასუხგაუცემელ კითხვებს თითოეული მსჯავრდებულისთვის, თუ რა შეიძლება მან გააკეთოს დამატებით სასჯელის მოხდის პერიოდში, კიდევ როგორ შეიძლება იმოქმედოს, რომ გარემოებები საკმარისად იქნეს მიჩნეული მისი პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში. საბჭოს წერილობითი დასაბუთება მოითხოვს შინაარსობრივ დასაბუთებას – მთავარი არგუმენტები, რომელთაც აყრდნობს მსჯავრდებული მოთხოვნას, უნდა იყოს ნათლად პასუხგაცემული, რომ მისთვის ნათელი იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვტილების მოტივაცია, რასაც იგი დისკრეციის საფუძველზე იყენებს.

გადაწყვეტილების დასაბუთებულობა გულისხმობს დასაბუთების საჭიროებას ორივე შემთხვევაში – დადებითი ან უარყოფითი გადაწყვტილების მიღებისას. სწორედ, გადაწყვეტილების დასაბუთებამ უნდა გამორიცხოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არაერთგვაროვანი ან/და მიკერძოებული მიდგომის ეჭვი.

## ბიბლიოგრაფია:


### გამოყენებული ლიტერატურა:

1. არსოშვილი, გ., მიქანაძე, გ. და შალიკაშვილი, მ., 2015. „პრობაციის სამართალი." თბილისი.
2. ნაჭყებია, გ., „რედ.", 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი.
3. პრადელი, ჟ., 1999. შედარებითი სისხლის სამართალი. სანი, თბილისი.
4. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ და ხასია, მ., 2014. სასჯელაღსრულების სამართალი. თბილისი: იურისტების სამყარო.
5. Padfield, N., Van Zyl Smit D. and. Dunkel, F., 2010. Release from Prison, European Policy and Practice. USA, Willan Publishing.

### ნორმატიული მასალა:

1. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=026> [წვდომის თარიღი: 20 ოქტომბერი 2020].
2. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> [წვდომის თარიღი: 20 ოქტომბერი 2020].
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=230> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].
4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=82> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].
5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=36> [წვდომის თარიღი: 20 ოქტომბერი 2020].
6. „პატიმრობის კოდექსი". [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].
7. წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ, 2010/16. ბანკოკის წესები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.idsdge.files.wordpress.com/2017/06/e18391e18390e1839ce18392e18399e1839de18399e18398e183a1-e183ace18394e183a1e18394e18391e18398.pdf> [წვდომის თარიღი 20 ოქტომბერი 2020].
8. „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება #138.
9. იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს N320 ბრძანება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ".
10. სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს 2019 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილება (#05/19/მ/პ-005).

### სასამართლოს პრაქტიკა:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება, (საქმე #3/7295-19).
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულების-სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება. 7.02.2020.

## Bibliography:

### Used Literature:

1. Arsoshvili, G., Mikanadze, G. and Shalikashvili, M., 2015. "Probation Law". Tbilisi. (in Georgian)
2. Nachkebia, G., (ed.), 2007. General part of criminal law. Tbilisi. (in Georgian)
3. Pradell, J., 1999, Comparative Criminal Law. Tbilisi. (in Georgian)
4. Shalikashvili, M., Mikanadze, G. and Khasia, M., 2014. Penitentiary Law. Tbilisi: World of Lawyers. (in Georgian)
5. Padfield, N., Van Zyl Smit D. and. Dunkel, F., 2010. Release from Prison, European Policy and Practice. USA, Willan Publishing. (in English)

### Normative material:

1. Convention on the Rights of the Child, 1989. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0[26> [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
2. Constitution of Georgia., 1995. [Online] available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
3. Criminal Code of Georgia. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=230> [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
4. Administrative Procedure Code of Georgia. 1999. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=82> [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
5. General Administrative Code of Georgia, 1999. [Online] Available: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=36> [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
6. Detention Code, 2010. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34> [Accessed 20 October 2020]. (In Georgian)
7. Rules on the Treatment of Female Prisoners and Non-custodial Measures of Convicted Women, 2010/16. Bangkok Rules. [Online], Available: <https://www.idsdge.files.wordpress.com/2017/06/e18391e18390e1839ce18392e18399e1839d-e18399e18398e183a1-e183ace18394e-183a1e18394e18391e18398.pdf> [Accessed 20 October 2020]. (in English)
8. Order N 138 of the Minister of Corrections and Probation of Georgia of October 19, 2015 on the Number of Local Councils, Territorial Jurisdiction and the Typical Statute of the Local Council of the Ministry of Corrections and Probation of Georgia. (in Georgian)
9. Order N320 of the Minister of Justice of August 7, 2018 "On consideration of the issue of parole and decision-making by the local councils of the state sub-agency within the system of the Ministry of Justice of Georgia – the Special Penitentiary Service." (in Georgian)
10. Decision of the Local Council for the Review of Cases of Women Convicts of the Special Penitentiary Service of September 6, 2019 (N 05/19 / Sh / P-005). (in Georgian)

### Judicial practice:

1. The Decision of the Administrative Cases Panel of the Tbilisi City Court. 25 December, 2019 (Case N 3 / 7295). (in Georgian)
2. Decision of the Local Council for Reviewing the Cases of Women Convicts, a sub-institution within the system of the Ministry of Justice of Georgia – Special Penitentiary Service. 7.02.2020. (in Georgian)

## References:

1. Order №320 of the Minister of Justice of Georgia of August 7, 2018 on consideration of the issue of parole and approval of the decision-making rule by the local councils of the state sub-institution within the system of the Ministry of Justice of Georgia - Special Penitentiary Service. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4837225?publication=0 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
2. Arsoshvili, G., Mikanadze, G. and Shalikashvili, M., 2015. "Probation Law". Tbilisi: p. 191. (in Georgian)
3. Pradell, J., 1999, Comparative Criminal Law. Tbilisi: p. 467. (in Georgian)
4. Recommendation of the Committee of Minis-

ters of the Council of Europe (2003) 22 on parole, Preamble. (in English)
5. Ibid. Paragraph 16. (in English)
6. Article 42. Code of Detention, 2010. [Online] available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
7. Padfield, N., Smit, D. V. and Dunkel, F., 2010. Release from Prison, European Policy and Practice. USA, Willan Publishing, p. 420. (in English)
8. Ibid. p. 420. (in English)
9. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe (2003) 22 on parole, paragraph 16. (in English)
10. Rules on the Treatment of Female Prisoners and Non-custodial Measures of Convicted Women, 2010/16. Bangkok Rules, Rule 58. [Online] Available at: https://www.idsdge.files.wordpress.com/2017/06/e18391e18390e1839ce18392e18399e1839de18399e18398e183a1-e183ace18394e183a1e18394e18391e18398.pdf [Accessed 20 October 2020] (in English)
11. Ibid. Rule 58, 60, 62, 64.
12. Ibid. 57.
13. Ibid. Rule pp. 58, 60, 62, 64.
14. Ibid.
15. Ibid.
16. Article 72-73., Criminal Code of Georgia. [Online] available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=230 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
17. Articles 40-43, Code of Detention, 2010. [Online] available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
18. Order №320 of the Minister of Justice of Georgia. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4837225?publication=0 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
19. The practice of parole and replacement of the unserved part of the sentence with a lighter sentence in Georgia. 2019. Tbilisi: p. 8. [Online] Available at: http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
20. Nachkebia, G., (ed.), 2007. General part of criminal law. Tbilisi: p.412. (in Georgian)
21. Arsoshvili, G., Mikanadze, G. and Shalikashvili, M., 2015. "Probation Law" Tbilisi: p. 190. (in Georgian)
22. Article 3, Order N320 of the Minister of Justice., 07 August 2018. (in Georgian)
23. The practice of parole and replacing the unserved part of the sentence with a lighter sentence in Georgia, 2019. Tbilisi: p. 8. [Online] Available at: http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
24. Ibid. Article 4.
25. Ibid. Article 61.
26. Order №320 of the Minister of Justice of Georgia of August 7, 2018 on consideration of the issue of parole and approval of the decision-making rule by the local councils of the state sub-institution within the system of the Ministry of Justice of Georgia - Special Penitentiary Service. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4837225?publication=0 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
27. Padfield, N., Smit, D. V. and. Dunkel, F, 2010. Release from Prison, European Policy and Practice. USA, Willan Publishing, pp. 426-427. (in English)
28. Order N138 of the Minister of Corrections and Probation of Georgia of October 19, 2015 on the Number of Local Councils, Territorial Jurisdiction and the Typical Statute of the Local Council of the Ministry of Corrections and Probation of Georgia. (in Georgian)
29. Ibid. Article 23.
30. Article 324. Administrative Procedure Code of Georgia. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=82 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
31. The practice of parole and replacement of the unserved part of the sentence with a lighter sentence in Georgia. 2019. Tbilisi: P. 10-12. [Online] Available at: http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
32. Article 271, Administrative Procedure Code of Georgia. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=82 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
33. Practice of parole and replacement of the un-

served part of the sentence with a lighter sentence in Georgia, Tbilisi: 2019. pp. 10-12. [Online] Available at: http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
34. The decision of the Tbilisi City Court. 25 December 2019 (Case N3 / 7295-19). (in Georgian)
35. Article 1, "Code of Detention". 2010. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
36. Ibid. Article 1.
37. Ibid. Article 43.
38. Ibid. Article 43.
39. Article 1. Order of the Minister of Justice of Georgia, 2018. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
40. Ibid. Article 6.
41. Ibid. Article 7.
42. Article 13. Order of the Minister of Justice of Georgia, 2018. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
43. Ibid.
44. Decision of the Local Council for the Review of Cases of Women Convicts of the Special Penitentiary Service of September 6, 2019 (N05 / 19 / Sh / P-005). (in Georgian)
45. The decision of the Tbilisi City Court. 25 December 2019 (Case N3 / 7295-19). (in Georgian)
46. Article 13, Order of the Minister of Justice of Georgia. 2018. [Online] available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
47. Ibid.
48. Ibid.
49. Constitution of Georgia. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
50. Article 2, Convention on the Rights of the Child. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 [26 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
51. Ibid. Article 2.
52. Ibid. Article 8.
53. Order of the Minister of Justice of Georgia N320 of August 7, 2018 on consideration of the issue of parole and approval of the decision-making procedure by the local councils of the state sub-agency within the system of the Ministry of Justice of Georgia - Special Penitentiary Service. [Online] Available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
54. Article 1, General Administrative Code of Georgia. [Online] available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=36 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
55. The practice of parole and replacement of the unserved part of the sentence with a lighter sentence in Georgia. 2019. Tbilisi. [Online] Available at: http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
56. Ibid.
57. The practice of parole and replacing the unserved part of the sentence with a lighter sentence in Georgia, Tbilisi: 2019. [Online] available at: http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
58. Article 39, Criminal Code of Georgia. [Online] available at: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=230 [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
59. The decision of the Tbilisi City Court. 25 December 2019 (Case N3 / 7295-19). (in Georgian)
60. Practice of parole and replacement of the unserved part of the sentence with a lighter sentence in Georgia. 2019. Tbilisi. [Online] Available at: http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf [Accessed 20 October 2020]. (in Georgian)
61. The decision of the Tbilisi City Court. 25 December 2019 (Case N3 / 7295-19). (in Georgian)
62. The decision of the local council reviewing the cases of women convicts, a sub-institution within the system of the Ministry of Justice of Georgia - Special Penitentiary Service. 7.02.2020. (in Georgian)